ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5149701

ნომერი: AR1781676

თარიღი : 15.10.2020

გაცემის თარიღი : 20.10.2020

გაცნობის თარიღი : 23.10.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა დემეტრე თავდადებული , N 16ა , მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , დ. თავდადებულის ქ. N14-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო მაჭავარიანი პ/ნ 01025015969
- დიდი დიღომი, მე-3 მ/რ, 29 კორპ,ბინა 34აა

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 8 მ-მდე სიმაღლის მქონე ანძა, ანტენა, გაყვანილობისა და განათების ბოძი
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

..არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ..ფოტოსურათების pdf ფაილი : წარმოდგენილი იქნას დღეის მდგომარეობით გადაღებული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა დათარიღებული სახით ;

..სანიტარული დაცვის ორგანიზაციის როექტი -> ..სანიტარული დაცვის ორგანიზაციის როექტი pdf ფაილი : ვინაიდან დღეის მონაცემებით შეცვლილია მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია და საკადასტრო კოდი საჭიროა აღნიშნული ცვლილება აისახოს სანიტარული დაცვის ზონის ორგნიზაციისა და კეთილმოწყობის პროექტში.

განგიმარტავთ, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, 1 წელზე მეტი ვადით დადებული გარიგებებით (მათ შორის, გარიგებებისა, რომელთა საერთო ვადა აღემატება 1 წელს) უფლებების წარმოშობისათვის აუცილებელია მათი საჯარო რეესტრში რეგისტრაცია, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვინაიდან თქვენ მიერ განცხადებაზე წარმოდგენილი იჯარის ხელშეკრულების ვადა აღემატება ერთ წელს (ხელშეკრულების მე-6 პუნქტის შესაბამისად), საჭიროა ხელშეკრულება დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრში და შესაბამისი ცვლილება აისახოს ამონაწერში. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე შეცვლილია და იმ შემთხვევაში თუ ვერ მოხდება იდენტიფიცირება რომ თქვენ მიერ მოხდა განხადებაზე წარმოდგენილი ხელშეკრულების რეგისტრაცია რეესტრში (ან მხარეთა შორის მოხდება დამატებითი შეთანხმება), წარმოდგენილ იქნეს რეესტრში რეგისტრირებული სარგებლობის ყველა საფუძველი და საჭიროების შემთხვევაში მიწის ნაკვეთის მესაკუთრის წესდების თანახმად უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა (სანოტარო, ორგანიზაციის ბეჭდით ან ორგანიზციის ტიტულოვან ფურცელზე შედგენილი) მიმდინარე განცხადებით შესათანხმებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.

დაზუსტებული ინფორმაცია დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, გეცნობებათ მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით ატვირთული დოკუმენტაციის განხილვის შემდგომ, კანონით დადგენილ ვადაში.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.